# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 153

წელიწადი მეორე

1913

ხუთშაბათი, 26 სეკტემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

## იმერეთი

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სტრიქონი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.


„იმერეთის" რედაქცია ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ხუთშაბათს, 26 სეკტემბერს დაუვიწყარი

## არჩილ ჯორჯაძის

გადაცვალებიდან ექვსი თვის თავზე, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი.

---

მეგობრები და თანამოაზრენი აუწყებენ საზოგადოებას, რომ დღეს ნაწირვევ, 12 საათზე მთავარანგელოზის ეკლესიაში დანიშნულია პანაშვიდი დაუვიწყარი

## არჩილ ჯორჯაძის

სულის მოსახსენებლათ.

---

ქუთაისელი ამხანაგები და მეგობრები ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას დაუვიწყარი

## გიგა ჯულელის

უდროვოთ გადაცვალებას ირკუტსკის გუბერნიაში. პანაშვიდი იქნება გადახდილი კვირას 29 სეკტემბერს, დღის 12 საათზე ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში.

---

ქვრივი თამარ ნიკოლოზის ასული აბდუშელიშვილისა, ღვდ. დიმიტრი აბდუშელიშვილი, მართა ლევანის ასული აბდუშელიშვილისა, ვასილ დიმიტრის ძე აბდუშელიშვილი, ქეთევან დიმიტრის ასული გუგუშვილისა, უშანგი ალექსის ძე გუგუშვილი, ნიკოლოზ ვასილის ძე მესხი და პელაგია ბეგლარის ასული მესხისა ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ

## ვლადიმერ დიმიტრის ძის აბდუშელიშვილის

გადაცვალებას. დაკრძალვის დღე დანიშნულია პარასკევს, ეკენისთვის 27-ს სოფ. ბჟინევში.


...ნც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროსებს

**...ირისი** { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

...პიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოვო გემოვნებით.

...უთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**

თ ფ ი ლ ი ს შ ა.

## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთის და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი **ახლათ მიღებული საქონლები:** კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტუმი 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშვების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, რუბაშკები და სარუბაშკეები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა საპადვიოსკე და აგრეთვე მზა პადვიოსკები ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს **ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწვდომია და უვაჭროთ.**

პატივისცემით ა. ახვლედიანი.

---

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ თფილისის ქუჩაზე **ქალაქის აფთიაქის გვერდით,** ჩვენ ძმ. გრიგოლაშვილებმა მოვაწყვეთ ახალი რესტორანი

## „ფაზისი,"

სადაც შეიძლება იშოვოთ ახალი სანოვაგისაგან გაკეთებული საუზმე, სადილი და ვახშამი ქართული და ევროპიული **იაფ-ფასათ**; ყოველგვარი ღვინო, ტკბილი სასმელი და ცივი მინერალური წყალი.

**რესტორანში დაცულია სიწმინდე და თავაზიანი მოპყრობა მოსამსახურეების**

---

## მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავალს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.

ამერიკული ვაზის სანერგე **„კლდე ქვიშული"** ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს ხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მკალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო"-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და საჭმელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მმ. ვოკიელის სახლში **ვ. ტიეგო.**

---

ს. ქვარიანის წიგნი **„შოთა რუსთაველი და მისი პოემის"** გამოცემა ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო დაგვიანდა რის გამო ბოდიშს ვიხდით. ამას გარდა ვსთხოვ აგენტებს ხელის მომწერთა ფული გამოაგზავნონ. წიგნი გამოვა დაახლოებით 15 ოკტომბრამდი.

ადრესი: Подгорная ул. Сергѣю Герсамія. **გამომცემელი სერ. გერსამია.**

---

ქუთაისში, ღენერლის ქუჩაზე

## ი ყ ი დ ე ბ ა

150 ოთხკუთხი საჟენი მიწა ხის სახლით და ორი თვალი ქვიტკირის სამზარეულოთი. მიაკითხეთ ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბაში დ. მაქავარიანს.

---

ექიმი კ. ი. კავიტელაშვილი

საზღვარგარეთ გამგზავრების გამო დროებით ავათმყოფებს ველარ მიიღებს.

13—15

---

**ე ქ ი მ ი** გ. ა. მეიფარიანი.
ღებულობს შინაგანი, ბავშვებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30

---

## ექიმი ი. ჩარექოვი

იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

---

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

## მ. ბალანჩივაძისა

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე უცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, ექიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

---

**ე ქ ი მ ი** ქ. თ. ტყეშელაშვილი.
ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

---

**ექიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი.

---

**ექიმი** ქ. ი. აშიანცი დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა. **ივანოვის ქ. შ. აშიანცის სახლი.**


## არჩილ ჯორჯაძე.

ნახევარმა წელმა განვლო, რაც მგლოვიარე ქართველობამ არჩილ ჯორჯაძე დაიტირა და მიწას მიაბარა. ცხადია, ჩვენი ქვეყნის მომავალი ისტორიკოსი ღირსეულათ გააშუქებს ამ შესანიშნავი პიროვნების მოქმედებასა და შესაფერ საპატიო ადგილს მისცემს დიდ ქართველ მოღვაწეთა შორის.

დღეს უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ განსვენებულმა ღრმა კვალი დააჩინა ქართულ ცხოვრებას, ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებისა და მიმართულების განვითარებას. ქვაკუთხედი მისი მოღვაწეობის ქართველი მშრომელი ხალხი იყო. ამ ხალხის გამოფხიზლებას, მის გათვითცნობიერებასა და მისი უფლებისთვის ბრძოლას შესწირა თვისი ჯანსაღი, დიდი ცოდნა, დიადი ნიჭი და დაუღალავი ენერგია. ამ ხალხზე ამყარებდა ჩვენი ქვეყნის მომავალს. მან პირველათ გააცხადა საქვეყნოთ, გაბედულათ, რომ ქართველი ხალხი მოითხოვს საკუთარი ცხოვრების მოწყობას თავისი ძალებით, გარეშეთა დაუხმარებლათ, ისე როგორც ამას მისი საჭიროებანი, ადათი და ზნე-ჩვეულებანი უკარნახებენ. ეს იყო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მომენტი. განსვენებულმა არჩილმა გამოსახა და გარკვევით წამოაყენა ქართველი ხალხის მოთხოვნილება. გაივლის ეს დრო, დადგება სხვა ხანა, ბევრი ახლანდელი მომქმედი პირი, და აწინდელი საჭირბოროტო საქმენი დავიწყებას მიეცემიან, ხოლო ისტორია, შთამომავლობა ვერ დაივიწყებს იმას, ვინც პირველათ აღამაღლა ხმა ქართველი ერის უფლებათა დასაცავათ ამ შავბნელ ხანაში, ვინც პირველათ აღიარა, რომ ქართველმა ხალხმა თავისი ვინაობის, ისტორიული თავისებურობის დასაცავათ —ეროვნული ტერიტორიალური ავტონომია უნდა მოიპოვოსო.

როგორც საზოგადო მეცნიერების ღრმა მცოდნე არჩილი კარგათ ხედავდა, რომ ქართველი მშრომელი ხალხის სრული, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური და ეროვნული გათავისუფლება, შესაძლებელია არა მარტო არსებული პოლიტიკური წყობილების გარდაქმნით, არამედ ეკონომიური სტრუქტურის ძირიანათ შეცვლით, რაც მთელი ქვეყნის მშრომელთა არმიას იდეალათ აქვს დასახული. ამ იდეალისკენ მიიწევდა განსვენებული ქართველთა მშრომელ მასასაც. იგი ქადაგებდა ყველა ქვეყნის მშრომელთა ერთობას საბოლოო მიზნის გასახორციელებლათ. მაგრამ რადგან ეს შორეული პერსპექტივაა, ხოლო მშრომელი ხალხი დღეს ათასგვარ აუცილებელ შევიწროებას განიცდის, რომ ახლო მომავალში ოდნავათ მაინც ადამიანური ცხოვრების პირობები დამყარდეს, საჭიროა შეიცვალოს ამ ჟამათ გაბატონებული პოლიტიკური წყობილება. ქართველ ხალხს, მისი ვინაობის ისტორიული თავისებურობის, ენისა და საერთოდ კულტურის დასაცავათ უნდა მიენიჭოს ეროვნული ტერიტორიალური ავტონომია.

ეს არის ქართველი ხალხის სადღეისო მოთხოვნა. ეს რეფორმა შექმნის საკაცობრიო იდეალისთვის ბრძოლის ნიადაგს. იგი გამომდინარეობს, როგორც ქართველთა დღევანდელი მდგომარეობიდან, ისე მისი ისტორიული უფლებებიდანაც—ასე ამბობდა არჩილი...

და მის გარშემო შემოკრბენ ყოველი მხრიდან მისი აზრების თანამოაზრენი და ჩაისახა ის მიმართულება, რომლის დანიშნულებაცაა—შეიტანოს მშრომელთა მასაში სხვა ახალი უფრო სამართლიანი საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერ-

თობის დამყარების საჭიროების შეგნება, შექმნას თანასწორი კავშირი სხვა ხალხთა მშრომელ ძალებთან, დღეს კი უწინამძღვროს ამ ხალხს ეროვნულ-დემოკრატიულ რეფორმათა მოპოების ბრძოლაში.. ეს მიმართულება თუმცა ჯერ ნორჩია, მაგრამ საოცარი სისწრაფით იზდება, მისი მიმდევარნი დღითი დღე მრავლდებიან, მან უკვე შესამჩნევი კვალი დააჩინა ჩვენს ცხოვრებას, დღეს მტერი თუ მოყვარე იძულებულია მას ანგარიში გაუწიოს; იგი ერთადერთი გამოდის ქართველი ხალხის, როგორც ეროვნული ერთეულის უფლებათა დამცველად, იგი უარყოფს მართველობის ცენტრალისტურ სისტემას, საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს იგი ამჟამათ რუსეთში გაბატონებული ნაციონალისტური პოლიტიკიდან, თუ ს.-დემოკრატიული პრინციპებიდან.

ზემო აღნიშნული აზრების განსაკუთრებულ ცხოველმყოფელობას უნდა მიეწეროს ის, რომ რაღაც ხუთი ექვსი წლის განმავლობაში ასე ღრმათ გაიდგა ფესვები ამ მიმართულებამ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ასეთია ის მიმართულება, რომელიც სხვებთან ერთად შექმნა განსვენებულმა არჩილმა, და რომელსაც მეთაურობდა იგი სიკვდილის უკანასკნელ დღემდი. ჩვენ ვგრძნობთ, რომ არჩილის პოლიტიკური პროგრამის განმარტება მეტათ სხემატიურია. ეს უნდა მოგვიტევონ, რადგანაც არ შეგვეძლო არ შევხებოდით სრულიად, რომ არჩილის მნიშვნელობა მკრთალათ მაინც აგვენიშნა. საფუძლიანათ, დაწვრილებით განხილვის ნებას პირობები არ გვაძლევს. რა თქმა უნდა, განსვენებულს სხვა ღვაწლიც მიუძღვის, მის კალამს ეკუთნის პირველი შრომა ქართული ინტელიგენციის ისტორიისა —ამ შრომაში განხილულია ქართული საზოგადოებრივი აზროვნობის თანდათანი ზდა-განვითარება. სამწუხაროთ ეს შრომა დაუმთავრებელი დარჩა. მისი მადლიანი კალამი კიდევ ბევრს დასწერდა რომ სიკვდილს არ ესწრო და არ შეეწყვიტა ესოდენ ნაყოფიერი შრომა.

არაჩვეულებრივია თვით პიროვნება განსვენებულისა. ჯერ კიდევ გიმნაზიაში იგი იწყებს მეცნიერულსა და ფილოსოფიურ მომზადებას; ჯერ კიდევ ბავშს სერიოზული საკითხების გარკვევისთვის მოუკიდია. ხელი. ვ. წერეთელი სწერს თავის მოგონებაში: „18 წლის არჩილს სერიოზული მეცნიერული სჯა-ბაასი და კითხვა იტაცებდაო“. აქიდან იწყება მისი ინტელექტუალური ცხოვრება, ისეთის თავდავიწყებითა და გატაცებით, რაც მხოლოდ მას შეეძლო, იწყებს ფილოსოფიასა და ბუნების მეტყველების შესწავლას. ამ დროს იგი ითვისებს ტოლსტოის ფილოსოფიურ აზრებსა და ხდება მისი მოძღვრების მხურვალე დამცველი. მნიშვნელოვანი თვისება მისი ხასიათისა იმით გამოიხატება, რო მას არ შეუძლია მხოლოდ განყენებული აზრების ცხოვრებისაგან მოწყვეტილ თეორიებს დასჯერდეს. იგი მუდამ პრაქტიკული განხორციელებისკენ ესწრაფება. ამ მიზნით იგი კვაკერებში ცხოვრობს. იქ უნდა შეთვისებული თეორიის თანახმად მოაწყოს პრაქტიკული ცხოვრება. ამავე დროს თეორიულ სფეროში იგი არ სცხრება, კვლავ ძიებაშია, მისი გონება ერთ წერტილზე შეჩერებას ეწინააღმდეგება და აი, ჩვენ ვხედავთ სოციოლოგიურ, საკითხების მკვლევარის როლში. ამ დროს ეკუთნის მისი საქართველოში დაბრუნება ის სათავეში უდგება ეროვნული მიმართულების ჯგუფს. მაგრამ ესეც არ კმარა. საზღვარგარეთ უახლოვდება რუსეთის რევოლიუციონერებს, ითვისებს მისი ნაროდნიკული ნაწილის პროგრამას და ჩვენში გადმოაქვს სამოქმედოთ. მალე მას აღარც ეს აკმაყოფილებს. იგი ანარქისტული იდეებით არის გატაცებული.

ამ დაუსრულებელ ძიებაში მხოლოდ ერთი არის უცვლელი და შეურყეველი,— ეს საფუძველი მთელი მისი არსებობისა— ეროვნული საკითხი. რა სოციოლოგიურ კონცეპციასაც უნდა აღიარებდეს, იგი მუდამ გამოდის ქართველი ხალხის როგორც ეროვნული მთელის ინტერესებიდან. ამ თვალსაზრისით სწყვეტავს ყოველ საკითხს.

თავისი პირადი „მე“ სულ დაუვიწყია. ამ გაცხარებულ გონებრივ მუშაობაში იგი. ერთიანათ საზოგადოებრივ ცხოვრებას მისცემია. მასზე ზედგამოჭრილია სიტყვები: „ხორცი სულისთვის გაუწირია“ უსიხარულოდ მარტოკა სძლებსო.“ ჩვენს ცხოვრებაში იგი პირველი ინტელიგენტია ამ სიტყვის ჭეშმარიტის მნიშვნელობით, რომელიც მთელი თავისი არსებით ქვეყნის სამსახურს მისცემია. მისი ცხოვრება და ღვაწლი, დაუდეგარი, უანგარო შრომა მაგალითად, იდეალათ უნდა დავისახოთ. ჩვენ მისი მაგალითით გამხნევებულნი მივეცეთ საერო საქმეს ისეთისავე გატაცებით, როგორც ის. მიუხედავათ ხან მოკლე სიცოცხლისა, არჩილმა შექმნა დიდი საქმე, საძირკველი ჩაუყარა ეროვნულს დემოკრატიულ მოძრაობას. ამიტომ არ მოკვდება იგი, მისი საქმენი ილაღადებენ მასზე და რაც მეტი დრო გაივლის, მით მეტათ გაიზდება მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის. დღეს მისი ცხედრის დაკრძალვის ნახევარი წლის თავზე მუხლი მოვიყაროთ მისი ხსოვნის წინაშე, შევიკრიბოთ და ვსთქვათ, რომ იგი ჩვენშია, ცოცხალია.

## ქართული პრესა.

„სახალხო გაზეთის“ მეთაური იგონებს არჩილ ჯორჯაძის დასაფლავებას და იმ მწუხარებას, რომელმაც მოიცვა მაშინ მთელი საქართველო. როგორც უანგარო პიროვნებას, არჩილ ჯორჯაძეს დიდი პატივისცემა ქონდა მოხვეჭილი ქართველ ხალხში მიმართულების განურჩევლათ:

„... არჩილ ჯორჯაძისადმი ყურადღება მხოლოდ პირადი ღირსებებით არ განიზომება. იგი ამასთანავე ერთად იყო ისეთი მწერალი, ისეთი პუბლიცისტი, რომელმაც პასუხი მისცა ჩვენს საზოგადოებაში მომწიფებულსა და აქამდის ბუნდოვანათ შეთვისებულს ეროვნულ წყურვილებს. მან პრინციპიალურ სიმაღლემდი აიყვანა ფორმულა საქართველოს ეროვნული მოთხოვნილებებისა და ამით გულის სიღრმეში ჩასწვდა თვით საზოგადოების მომწიფებულ მოთხოვნილებებს. არჩილ ჯორჯაძემ თავისი ნაწერებით, მთელი თავისი მოღვაწეობით, ყავარჯენი გაუჩინა ქართველთა ეროვნულ იდეალს. მასში, როგორც ფოკუსში, თავი მოიყარა ქართველი საზოგადოების ეროვნულმა მოთხოვნილებებმა. საზოგადოებამ იგრძნო, რომ არჩილ ჯორჯაძის სახელთან დაკავშირებულია არა მარტო ახალი სიტყვა, არამედ მისი მეოხებით კვლავ პოლიტიკური ნათლისღება მიიღო საქართველომ რომელსაც ათასნაირი ძალა სასიკვდილოთ გამზადებულადა სთვლიდა. ფიზიკურად დასუსტებულს სხეულში დაბუდებული იყო ძლიერი ნების ყოფა, რომელიც საქართველოს სიკვდილს ვერ ურიგდებოდა და თამამათ, ახალგაზდურის გატაცებითა და მოციქულებრივი აფრთოვანებით მოუწოდა ქართველ საზოგადოებას, იმედი გაუღვიძა და თვალწარმტაცი ჰორიზონტები გადაუშალა. თესლი ნაყოფიერ ნიადაგს მოხვდა, და საზოგადოებაც დაეწაფა ახალ სიტყვას. აი უმთავრესათ სად უნდა ვეძებოთ მიზეზი იმ ღრმა პატივისცემისა, რომლითაც ექცეოდა თვითოეული შეგნებული ქართველი არჩილ ჯორჯაძეს.

**შემდეგი ნუმერი „იმერეთი“ გამოვა შაბათს, 28 სექტემბერს.**

## ახალი ამბავი.

დღეს მთავარანგელოზის ეკლესიაში ნაწირვებს გადაიხდიან არჩილ ჯორჯაძის გადაცვალებიდან ექვსი თვის პ.ნაშვიდს.

✦ სილოვან ხუნდაძის იაფფასიანი პატარა ქართული გრამატიკა უკვე გამოიცა და წიგნის მაღაზიებს გასასყიდათ დაურიგდა.

✦ დღეს საღამოს 4 საათზე კვლავ იფრენს ავიატორო ქებურია. რადგან ველი, სადაც ფრენაა დანიშნული, ყოველი მხრით გაშლილია და კანტროლის დაწესება მოუხერხებელია, ბილეთების გაყიდვა კი მარტო ორგან მოსახერხებელია მოეწყოს, სასურველია, „დიდთა“ და „მცირეთაც“ შეიგნონ, რომ უბილეთოთ და თავის წვლილის გადაუხდელათ, ნურვინ მოისურვებს მოედანზე შესვლას. ეტლით შესვლა ეღირება 2 მანეთათ, ისე კი მანეთიდან 6 შაურამდი. მოწაფენი ნახევარ ფასს იხდიან. მოვუწოდებთ მოსწავლე ახალგაზდობას—ხელი შეუწყონ ამ საქმესა და უფასოებით ნუ გაივსება ველი და წესიერებაც იყოს დაცული.

✦ ქიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს სხდომები, რომელიც ჭიათურაში 15 ამ თვეს დ იწყო,—მხოლოდ გუშინ დასრულდა. ბევრი საკითხის გადაწყვეტა ვერ მოასწრეს და შემდეგისთვის გადაიდვა.

სხვა საკითხებთან ერთად შემუშავდა საბჭოს მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა.

აგრეთვე დაადგინეს მდინარე ყვირილის ნაპირას მდებარე შვიდს სოფელში მოეწყოს წყალსადენი; დანარჩენ სოფლებში კი შეკეთდეს წყაროები. ამასთანავე დაათვალიერონ მდინარე ყვირილისა და რიონს შუა მდებარე სოფლები და ეცნობოს საბჭოს, სად არის საჭიროება წყალსადენის მოწყობისა.

მოკლე ხანში მოხდება საბჭოს მიერ სტიპენდიების განაწილება, ხოლო მორიგი სხდომა კი—ოკტომბრის შუა რიცხვებში.

✦ ბევრისგან გვესმის საყვედური იმის შესახებ, რომ ჩვენი მეეტლებისთვის არავითარი ნიხრი არ არსებობს. ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა საავათმყოფომდი ნიხრათ 6 შ. არცერთ მეეტლე ამ ნიხრს არ სჯერდება და იძულებული ვართ 10 შ.—3 აბაზი ვაძლიოთო, საჭიროა ამ თავგასულობას ყურადღება მიექცეს. ეს მაინც არ იწვევს კონცესიების წერასა და დიდ სესხებს.

✦ პარასკევს, 27 ეკენისთვეს ქალაქის თეატრში თფილისის სომხური დრამატიული დასი სომხურ წარმოდგენას მართავს. წარმოადგენენ გოლდონის პიესას (ნათარგმნს)—„დონ-გრიგორიოს“. აგრეთვე წარმოადგენენ ქართულ ვოდევილს— „თაიგული“. დასს ხელმძღვანელობს სომხური დასის დამსახურებული და მსახიობი კრკრი.

### თ ფ ი ლ ი ს ი.

✦ **დავით კლდიაშვილის საღამო.** ცნობილი ბელეტრისტი დავ. კლდიაშვილი, როგორც გავიგეთ, თფილისში მართავს სალიტერატურო საღამოს; საღამო გაიმართება ქართულ თეატრში. სხვათა შორის, ავტორის თანდასწრებით, ქართ. დრამ. დასის მიერ ვალ. შალიკაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმება: „დარისპანის გასაჭირი“. საღამოში მონაწილეობენ: კიტა აბაშიძე, ივ. გომართელი, ი. გრიშაშვილი, ჯ. ჯორჯიკია და სხვა.

✦ **ზოლოტეხნიკუმი.** მეფის მოადგილის კანცელარიაში 23 სეკტემბერს მ. პ. გაკელის თავჯდომარეობით კრება ქონდა საუწყებათაშორისო კომისიის მიერ არჩეულ მცირე კომისიას. კრებამ დაწვრილებით განიხილა და იმსჯელა სასოფლო მეურნეობის ინსპექტორის ს. ნ. ტიმოფეევის მოხსენების გამო, რომელიც წინა კრებაზე იყო წაკითხული. მოხსენება შეეხებოდა ნავთლუღისა და საბურთალოს მიწების ღირსება-ნაკლულოვანებას ნიადაგის მხრით. კომისია შემდეგ კრებაზე შეიმუშავებს ამ საქმის საფინანსო საკითხებს. მთელი მასალა კომისიისა საბოლოოდ წიგნათ დაიბეჭდება და მეფის მოადგილეს გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს წარედგინება. „ს. გ.“.

## ფიქრთა მორევში.

არის მწუხარება, რომელიც მარად მწვავეა, ვერ აქარწყლებს დრო, ვერ აგრილებს ხანი.

იტყვიან—მიწა გრილია და მის მკერდში მომწყვდეულის გლოვას დიდს ხანს არ მიყვება ადამიანი, დრო და ხანი აგრილებს ჭირისუფლის გულსო...

მაგრამ ექვსი თვე გავიდა და ამ წამსაც ისევე მწვავეა განსვენებული არჩილის მოგონება, როგორც მისი მიცვალების ზარდამცემ დღეს...

რამდენი დრო და ხანი უნდა გავიდეს, რომ ჭირისუფალმა ჩვენმა ქვეყანამ დაივიწყოს იგი!

ამ ექვსი თვის განმავლობაში დღე არ გამორევია, რომ სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეთ, ჩვენი ქვეყნის საჭირ-ბოროტო საკითხებზე სჯა-ბაასის დროს, არჩილი არ გახსენებოდეთ: —

— რას იტყოდა არჩილი ამ საქმეზე?

ასეთი კითხვა ბევრჯერ ბევრს მიუცია თავისთავისთვის.

და კვლავ ბევრი ექვსი თვე გაივლის— სანატრელი გვექნება არჩილის აზრიანი წერა, მკვეთრი საბუთები, სადი მსჯელობა, მახვილი კალამი, მარჯვე სიტყვა.

დრო და ხანი ვერ გააგრილებს იმ საყვარელი, რჩეული, სულით მაღალისა და გულით ფაქიზი ადამიანის ხსოვნას, ვინც ცეცხლად მოევლინა ჩვენს ეროვნულ აზროვნებას და ჩვენს გულში დაუშრეტელი ცეცხლი დაანთო.

და ვიდრე არ ჩაფერფლდება იგი ცეცხლი, არჩილის ხსოვნაც არ გაგრილდება ჩვენს გულში.

დ. მესხი.

## დაუვიწყარი არჩილ ჯორჯაძის ხ ს ო ვ ნ ა ს.

შესრულდა ნახევარი წელიწადი მას შემდეგ, რაც ულმობელმა სიკვდილმა თავის საყვარელ სამშობლოს გამოსტაცა დაუღალავი მოღვაწე, უშიშარი მებრძოლი და უუფლებო ერის უფლებიან ერათ გადაქმნისთვის პრაქტიკულათ მომქმედი, მეცნიერულათ მომუშავე არჩილ ჯორჯაძე.

მისი უდროვოთ სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო ქართველი ერისათვის. მისმა ღვაწლმა, მისმა კალამმა და პრაქტიკულმა მოქმედებამ დაბადა ჭეშმარიტება ერის უკვდავებისა, შექმნა ეროვნული სული, გააცხოველა მიძინებული გრძნობა ერის თვითცნობიერებისა, სურვილი უფლების მოპოებისა, რწმენა ჭეშმარიტებისა და სამართლის გამარჯვებისა.

არჩილ ჯორჯაძე იყო ძლიერი ჩირაღდანი, რომელიც წინ მიუძღოდა და გზას უნათებდა იმ თაობას, რომელსაც მიზნათ დაუსახავს მრავალ-ტანჯული, უფლება-დაკარგული მშობელი ერისთვის მოიპოვოს ის აუცილებელი მდგომარეობა და უფლება, რაც მინიჭებული აქვს ყოველს სრულ უფლებიან ერს.

მას მტკიცეთ სწამდა, რომ ეს ოდესაც ძლიერი ერი, რომელსაც ათასი წლების არსებობით და თავისი ეროვნულ ელფერის, მიწა-წყლისა და უფლების შენარჩუნებისთვის მედგარი, თავგანწირული ბრძოლით დღემდი დაუცავს თავისი ეროვნული სახე, შემდეგშიც შესძლებს დაიცავს იგი და მოიპოვოს ის აუცილებელი საფუძველი ერის არსებობისა, რაც უკვდავი ერის უმთავრესი ქვაკუთხედს შეადგენს.

ნახევარი წელიწადი შესრულდა, რაც მისი ძვირფასი ცხედარი მიწას მივაბარეთ, მაგრამ მისი გმირული სული სცოცხლობს და იცოცხლებს სანამდი იარსებებს თვით ქართველი ერი.

ბ. ჯაიანი.

## კანცელის და დადიანის გამოთხოვება.

გადაწყდა ქუთაისის წყალსადენის ბედი. ჩვენი ქალაქი გამოეთხოვა კონცესიას და წყალსადენი საკუთარი ძალღონით, ოჯახური წესით უნდა მოაწყოს. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს რომ „ხვალ-ზეგ“ წყალსადენი გვექნება და ამ აზრით არ გვითქვამს—გადასწყდა წყალსადენის ბედი-თქო. მაგრამ საგულისხმოა თვით გადაწყვეტილება ხმოსანთა უმეტესობისა, რომ ეს დიდი საქმე თვით ქალაქმა ოჯახურათ მოაწყოს, კერძო პირებს ხელში არ ჩაუგდოს ასეთი შემოსავლიანი დარგი საკუთარი მეურნეობისა და მუდამ სანანებელი არ გაუხდეს. ქალაქი სესხს არ უნდა მოერიდოს ამისთანა დიდი საქმისთვის, ნაღდი საქმეა და ასეთი ხესხიც ადვილი საშოვნია, მაგრამ საქმე მაუდს არ უნდა ამოსდევან, ახლავე, ცხელკვალზე არ ... და მიაძინონ და ენერგიით შეუდგენ ... ლაქის მამები ამ საქმის განხორციელებ... თავის სასახელოთა და მცხოვრებთა ... კეთილდღეოთ ნამდვილი მამობა გაუწი... ქალაქსა და იმას მკვიდრთ.

დროით, დროით!

## უგან. თ-დის უჩა დადიანის საქ...

### მესამე დღე.

დილის 10 ს. და 5 წ. სხდომა გ... ნახლდა.

სასამართლო ჩვენებას ართმევს მოწ... პეტროვს, რომელიც მკვლელობას ... ესწრო და თავის თვალით ნახა, როგო... ესროლა შავჩოხიანმა უცნობმა თ-დს ... დიშქელიანს. მოწმე გამოეკიდა მკვლელ... მაგრამ, როდესაც იმან რევოლვერი მ... ღირა, ის, როგორც უიარაღო, მიიმალ...

ბრალმდ.: როდესაც მკვლელმა თქვე... კენ მოიხედა იცანით?

მოწმე. ვერა, მე ძლიერ აღელვებუ... ვიყავი, ის კი შიშით ფერმიხდილი.

მოწმე რიშ-ოღლი შემდეგ ჩვენებ... იძლევა: როდესაც სროლა ატყდა, ჩ... ბინიდან გარეთ გამოვარდი. ამ დროს ... ლიდან ჩოხიანი უცნობი ჩამოხტა და რ... ვოლვერით ჩემკენ გამოექანა. უცნობ... ხელის თითიდან სისხლი წვეთდა. მე უ... დავბრუნდი იარაღისთვის, მაგრამ ნახევ... საათს შემდეგ უცნობი გამქრალიყო. რ... დესაც სატუსაღოში წამიყვანეს მკვლ... ლის გამოსაცნობათ, იქ ვნახე ის—ც... ცაძე.

ბრალმდ.: როგორ გაჩვენესთ ტუსაღ... ბი გამოსაცნობლათ.

**მოწმე:** ჩამატარეს ციხის დერეფან... ვიხედებოდი ყველა საკანში და ერთ... დავინახე მკვლელი.

— თქვენ არჩევთ ერთმანეთისაგან სხ... დასხვა სისტემის იარაღს?

— დიახ.

— რა სისტემის იყო ის რევოლვერ... რომელიც უცნობმა მოგიღირათ?

— არ მახსოვს... დიდი იყო.

თ-დი დადიანი: პალატის ყურადღებას ... ვაქცევ იმ უკანონობას, რომელსაც ... მოქალაქო მომჩივანი ჩადის: ის ხელ... ანიშნებს მოწმეს რევოლვერის სიდიდ...

ვექ. კოსტენსკი: რამდენი ტუსაღი ... ცინცაძესთან ერთად საკანში?

მოწმე: გარდა ცინცაძისა იქ არავ... იყო.

მოწმეს წაუკითხეს მის მიერ ოლქ... სასამართლოში მიცემული ჩვენება, რო... მელიც სავსებით ეწინააღმდეგება ახა... ჩვენებას.

თ-დ დადიანი: საიდან მოვიდა აქ მო... მე?

მოწმე: დაღესტნის ოლქიდან.

თ-დ დადიანი: ვინ არის იქ სამხედ... გუბერნატორის თანაშემწეთ?

მოწმე. დადეშქელიანი.

თ-დ დადიანი: ის მოკლულის ნათ... სავია?

მოწმე: ძმაა.

თ-დ დადიანი აქცევს მოწმის ამ ჩვე... ბას მსაჯულების ყურადღებას.

მოწმე ქუთაისის საავათმყოფოს მსახ... სახურე—გიგილაიშვილი.

**ბრალმდ.** კნეინას სანახავათ მოვი... ვინმე საავათმყოფოში ღამით?

მოწმე: დიახ, მაგრამ არ შეუშვი.

ბრალმდ. აგვიხსენით, როგორ ... რო მოკლულის ქალიშვილმა ნინ... თ-დი დადიანის ხანჯლით მოკვლა გა... ზრახა?

მოწმე: არა, ეს არ ყოფილა. მან ხ... ჯალი, მართალია, მოსტაცა თ. ფალ...



დღეს, ნაშუადღევის 4 ს. იფრენს ბესარიონ ქებურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ისე აქნევდა ჰაერში; ხოლო და-...ნი ამ დროს საავათმყოფოში არ ყო...ლა.

...ლის თორმეტ საათზე სხდომა შესწყ... განახლდა 20 წუთს შემდეგ.

...საყურადღებოა შორაპნის მაზრის ...როსის, ოლხოვსკის ჩვენება. ის ამ?...ბს: ჩემთან მოვიდა ადგილობრივი მე...ლე ჩიკვაიძე და გადმომცა თ-დი ...იშკელიანის მოკვლის ამბავი. საზო...ოების შთაბეჭდილებიდანა და მითქმა-...ქმიდან გავიგე, რომ ამ საქმეში მო...ილეობას იღებდა დღეს პასუხის გე...ი მიცემული კახიძე. ამ კაცს შევუჩი...ბოქაული ნემსაძე. ქართველისაგან ...ფულოს გაგება შეიძლება მხოლოდ ...ყრული ლალატითა და ბოქაულმა ...საძემ კახიძის ოჯახში მირონი შეი...ა, შემდეგ მან ადვილათ მიაწია მი...ს: გაიგო რომ თ-დ დადიშკელიანის ...ლელი იყო ცინცაძე—ძმა იმ ცინცა-..., რომელიც აქიმ ტრიანტაფილიდის ...ელისთვის სიკვდილით დასაჯეს. ამას ...ღეგ გავეცი ბძანება—ცინცაძე შეეპყ-..., და იგიც მალე დააპატიმრეს.

...რალმდ. გარდა ნათლიმამობისა ბო...ლმა ნემსაძემ კიდევ რა ღონე იხმა-...

...ოწმე. ხშირათ ათრობდა, ქრთამიც ...ა.

...რალმდ. საიდუმლო ფონდიდან?

...ოწმე: არა.

...რალმდ. როდესაც გაიგეთ, რომ ამ ...ოტმოქმედებაში კახიძესაც წილი ...ა რატომ დასტოვეთ ის ზესტაფონ-...?

...ოწმე: აქ ვისარგებლე ჩემი პირადი ...აზრებით. მსურდა მისგან უფრო და-...ილებითი ცნობები მიმეღო.

...ვქ. ესენი: ვინ მოგცათ თქვენ ამის ...ლება?

...ოწმე: ოლქის სასამართლოს თავჯდო...ემ.

...ვქ. ესენი. განა თქვენ, მაზრის უფ-...სმა, არ იცით, რომ ასეთი ნებართვა ...შედის ოლქის სასამართლოს თავჯდო...ის კომპეტენციაში, რომ ეს ბრალ-...ბლის უფლებაა?

...ოწმე: მე თავჯდომარესთან პირადი ...ირი მქონდა.

...ვქ. ესენი მაშ თავჯდომარემ თავი-...ფლათ დატოვა ის პირი, რომელსაც ...ის კვლა ბრალდებოდა!

...ოწმე. დიახ, დიახ. მაშ მე როგორ ...ბედავდი ამას მის ნებადაურთველად.

— თქვენ ის არათუ დასტოვეთ თავი-...ფლად, მიეცით რევოლვერი და ასრუ-...ბიებდით პოლიციელის თანამდებო-...!

— მართალია.

...ოწმის ასეთს ჩვენებას ბრალდებული ...იძე მოთმინებიდან გამოყავს.

...კახიძე: ბ-ნო მსაჯულებო! ამ მოწმემ ...ფული მომცა, იარაღი, თავისუფლება ...როგორ არ რცხვენია მაზრის უფროსს ...თი სიცრუე?

...თავჯდომარე კახიძეს შეაჩერებს.

— უნდა მოგახსენოთ, განაგრძნობს ...იძე, ამ დროს მე და მაზრის უფროსის ...თმა დარაჯმა მოვახდინეთ ერთი ქურ-...ბა, რადგანაც ვსარგებლობდით დიდი ...ვისუფლებითა დ უფლებით. ოლქის სასა-...თლომ გამასამართლა.

...თ-დი ოთარი: მოწმე, სად გავიცანით ...ნ ერთმანეთი?

...მოწმე: გუბერნატორთან ჩაიზე.

...მოწმეს წაუკითხეს ის ჩვენება, რომე-...ც გამომძიებელს მისცა. ამ ჩვენები-...ნ ჩანს, რომ კახიძეს აძლიეს ფარულ ...ლიციაში 300 მანეთიანი ადგილი.

...პალატის წევრი: უსახელო წერილი, ...მელიც მიიღო მოკლულმა თავადმა, ...ო თქვენს ხელში თუ არა?

...მოწმე: არ მახსოვს.

...ამ უსახელო წერილის შესახებ ვექილი ...ენი განმარტავს, რომ ეს წერილი ამო-...ეს მიცვალებულის ქაღალდებიდან 16 ...ნვარს და 20-ს კი ჩააკერეს სასამართ-...ოს საქმეში. 9 აგვისტოს ამ წერილს ...ნეს ექსპერტიზა. ყოველივე ამას შემ-...მ წარმოუდგენელია—საიდან გაჩნდა ... სასამართლოს საბუთი მაზრის უფრო-...ს კანცელარიაში. როგორ შეეძლო ...ლხოვსკის მოეხდინა (?) ექსპერტიზა ... შეედარებია კახიძის ხელნაწერი იმ ...რილთან, რომელიც ჩაკეთებული იყო ...ქმეში, როგორც ნივთიერი საბუთი?

...ბრალდებული კახიძე თხოულობს სიტ-...ას. თარჯიმანის თარგმანი მას არ მოს-...ნს და ლაპარაკობს რუსულად.

— ერთხელ ბოქაული ნემსაძე დათ-ვრა და მაზრის უფროს აჩუქა ორი ხმა-ლი, ღირებული 800 მანეთად. როცა მაზრის უფროსი შინ არ იყო, მისი ბი-ნიდან ამ ხმლებთან ერთად სხვა ნივთე-ბიც მოიპარეს. მაზრის უფროსმა ეჭვი ნემსაძეზე აიღო და სამსახურიდან დაით-ხოვა. ამ გარემოებას ცინცაძემ სხვა თვა-ლით შეხედა და მითხრა: „გამოვამჟღავ-ნოთ თ-დი დადიშკელიანის მკვლელები. საზოგადოთ დადიშკელიანები დიდი გავ-ლენიანი ხალხია და ჩვენთვის ეს კარგი იქნებაო", ჩვენც ასე მოვიქეცით. მოვნა-ხეთ ერთი ახალგაზდა, რომელიც დაგვ-თანხმდა 500 მანეთად ეთქვა თ-დი და-დიშკელიანის მკვლელი მე ვარო. ის და-აპატიმრეს და აჩვენეს ერისთვის ქალს. „ეს არ არის მკვლელიო"—სთქვა მან. „როგორ თუ არაო"!—მიუგო ბოქაულმა ნემსაძემ, აკი თვით გამოტყდაო''. მე ბოქაული ნემსაძის პროვაკაციამ დამღუ-პა და უდანაშაულო კაცს მასამართლე-ბენ.

თ-დი ოთარი: ცინცაძემ თუ ჩემი გავ-ლენით მკვლელობა თავს იდვა, მაშ რო-გორ აიხსნება ის, რომ ამავე ცინცაძემ, სასიკვდილოთ დაჭრილმა, ოლქის სასა-მართლოში განაცხადა: ალექსანდრე და-დიშკელიანი მოკლა მისმა ცოლმა და უჩა დადიანმაო„?

ბრალდებული კახიძე ისევ განაგრ-ძობს:

— როდესაც ცინცაძემ გაიგო, რომ მე მსურდა ყოველივე სიმართლე სასამარ-თლოსთვის მომეხსენებია, მან ქვით თა-ვი გამიტეხა. ოთარ დადიშკელიანმა ნახა ჩემი ჭრილობა და მითხრა: „მოითმინე ბოლომდი, ყველაფერი ხვალ გათავდე-ბაო". ხოლო „ხვალ" ათი წლის კატორ-ღა გადამიწყვიტეს. აი ჩემი უბედური ისტორია.

სხდომა შესწყდა ნაშუადღევის ოთხ საათზე

როდესაც თ. ოთარ დადიშკელიანი ჩვენე-ბას იძლეოდა, ჩამოთვალა დადიანის ცხოვ-ბიდან ბევრი ფაკტი და, სხვათა შორის, სთქვა რომ თ-დ დადიანს ერთხელ ძა-ლიან ესაჭიროებოდა ფულიო, მონახა ერ-თი ებრაელი, რომელსაც გამოართვა ორი ხატი,—მიუტანა დიდს მთავარს სერგი მი-ხაილის ძეს, როგორც ძველთაძველი საგვა-რეულო ნივთი და სთხოვა ისინი ეყიდაო. დიდმა მთავარმა ეს უბრალო ხატები რამ-დენიმე ათას მანეთად გამოართვა მასო.

ამის შესახებ 19 სეკტემბერს თ-დმა დადიანმა დიდს მთავარს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„თ-მა ოთარ დადიშკელიანმა, რომე-ლიც ჩემს პროცესში სამოქალაქო მომ-ჩივრათ გამოდის, ჩვენების მიცემის დროს განაცხადა, ვითომ მე თქვენი იმპერატო-რობითი უდიდებულესებისთვის მიმეყიდოს ხატები. ასეთი ჩვენებით მას სურს ჩემს პიროვნებას წარუხოცელი ლაქა მოსცხოს. რადგანაც ჩემი ზნეობრივი დახასიათებისთვის ეს დიდი საჭიროა, უქვეშევრდომი-ლესათ ვსთხოვ თქვენს იმპერატორობითს უმაღლესობას დეპეშით დამიდასტუროთ, რომ ასეთი მოვლენა არ ყოფილა. მხედვე-ლობაში მისაღებია, რომ საქმის გარჩევა არ გასტანს ორ დღეზე მეტს და გთხოვთ ამის პასუხი უბოძოთ თფილისის პალატის თავჯდომარეს ბაქოში. ესაული უგანათ-ლებულესი თავადი დადიანი".

20 სეკტემბრის დილის 10 საათზე სხდომა განახლდა.

პალატის თავჯდომარემ წაიკითხა დიდი მთავრის საპასუხო დეპეშა: ,,ბაქოს სასა-მართლო პალატის თავჯდომარეს. უგა-ნათლებულესი თავადის ესაული დადია-ნის თხოვნით გაცნობებთ, რო მე იმის-გან არადროს არავითარი ხატები არ მი-ყიდია. დიდი მთავარი სერგი მიხეი-ლის ძე.''

ეს დეპეშა საქმეს მიაკერეს.

ჩვენებას იძლევა ბოქაული ჩიკვაიძე:

— ერთხელ, ამბობს ის, მე, ჩემი ძმა და ბრალდებული კახიძე მოვხვდით ერთს ეტლში, გზაში კახიძემ გვითხრა, რომ უსა-ხელო წერილი გავუგზავნე დადიშკელი-ანს განზრახულ მკვლელობის შესახებო.

ბრალდ. ეს მოხდა თქვენი სამსახურში შესვლამდი?

მოწმე: დიახ, მაშინ სამსახურში არ ვი-ყავი. როდესაც მოვედი მაზრის უფროს ოლხოვსკისთან, იქ დამხვდა ბოქაული ნემსაძე და მათ გადავეცი კახიძის სიტყვე-ბი, ოლხოვსკიმ მითხრა მეშოვა კახიძის წერილი უსახელო წერილთან შესადა-რებლათ.

ვქ. ბობრიშჩევ-პუშკინი. როგორ შე-ეძლო ოლხოვსკის ან ნემსაძეს მოენდოთ თქვენთვის, არა პოლიციელისთვის, ამ წერილის ხელში ჩაგდება?

მოწმე: ისინი ფიქრობდნენ—ეს ჩემთვის უფრო ადვილი იყო, როგორც ეს მართ-ლაც მოხდა.

ვქ. კლანკი. თქვენ ენდეთ კახიძის ცნობებს?

მოწმე: დიახ.

ვქ. კლანკი. ბოქაული ნემსაძე თქვე-ნი ნაცნობია?

მოწმე: ნათესავიცაა.

ვქ. კლანკი. თქვენ სთქვით, რომ და-გავალეს კახიძის ხელნაწერის შოვნა უსა-ხელო წერილთან შესადარებლათ. გაგვა-გებიეთ ეს უსახელო წერილი, რომელიც საქმეში იყო ჩაკერებული, როგორ გაჩნ-და ოლხოვსკის კანცელარიაში.

მოწმე: ეგ მე არ ვიცი.

ამ დროს წამოხტება ბრალდებული კა-ხიძე და ამოწმებს:

ბ-ნო მსაჯულნო, ამ ორმა ბოქაულმა—ჩიკვაიძემა და ნემსაძემ გამხვიეს მე დადი-შკელიანის მკვლელობაში!

მოწმე თ-დ ერისთავი ამბობს, რომ მოკ-ლული დადიშკელიანი ხშირათ ღებუ-ლობდა უსახელო წერილებს თავის ცო-ლისა და დადიანის შორის კავშირის შე-სახებ. ამის გამო დადიანს სთხოვა თავად-მა შეეწყვიტა მის ოჯახში სიარული. რო-დესაც მოკლეს დადიშკელიანი, დადიანმა ინახულა მიცვალებულის ცოლი კნ. ბა-ბილინა საავათმყოფოში, ყველა ამტკი-ცებდა რო მკვლელობა მოაწყო თ-დ და-დიანმა, ერთხელ მან მითხრა: „მკვლელი უკვე დაიჭირესო". მე მივუგე, მკვლელი რომ დაეჭირათ, შენ აქ კი არა სატუსა-ღოში იქნებოდი-თქო. იყო ასეთი შე-მთხვევა: საავათმყოფოში მოვიდა მთვრალი დადიანი და კ-ნა ბაბილინას ლოგინზე ჩამოუჯდა. პირადათ მე არ შემიძლია და-ნამდვილებით ავიარო—დადიანსა და კნ. ბაბილინას შორის ახლო კავშირი.

თ-დი უჩა დადიანი ლაპარაკობს თითქ-მის ერთი საათის განმავლობაში. ის აღელდა, როდესაც საავათმყოფოში შეი-ტანეს მოკლული ალექსანდრე, მაგრამ ეს აიხსნება ამხანაგური, ნათესაური გრძნო-ბით, რომელიც მათ შორის არსებობდა.

მოკლულის ბიძაშვილი ლევანი ამ-ბობს, რომ ის იჯდა ციხეში, როგორც ერთი ქართული ჟურნალის რედაკტორი, წერილის მოთავსებისთვის. იქ მან გაი-გონა ტუსაღებისაგან, რომ ამ მკვლე-ლობის შესახებ დატყვებული დაღუპა დადიანმა და მათთან ერთად თავისი თა-ვიც დაიღუპაო.

ვქ. ესენი: არ შეგიძლიათ აგვხსნათ მიზეზი თქვენსა და დადიანს შუა უკმა-ყოფილების?

მოწმე: ინებეთ, ეს აიხსნება მით, რომ 1905 წელმა ჩვენ შორის დიდი განსხვა-ვება აღმოაჩინა პოლიტიკური შეხედუ-ლებით.

ბრალდ. ალშიბაია: ეს მოწმე-რედაკ-ტორი სიმართლეს მოკლებულ ჩვენე-ბას იძლევა. ჩვენ ვიყავით სისხლის სა-მართლით დასჯილნი და ვიმყოფებოდით ზედა სართულში, ხოლო ის—პოლიტი-კური დამნაშავე—ქვედა სართულში. ქუთაისის ციხეში ისეთი მკაცრი რეჟიმი არსებობს, რომ ჩვენი ერთმანეთის შეხ-ვედრა თითქმის მოუხერხებული იყო.

ბრალდ. კახიძე ადასტურებს თავის ამ-ხანაგის სიტყვებს და ირონიით წამოი-ძახებს:—აჰა, იდეის კაცი!

ღამის 11 ნახევარ საათზე სხდომა შეს-წყდა.

მეოთხე დღე.

მოწმე მიხეილ ყიფიანი: როდესაც ალექსანდრე გააფრთხილა ლომიძემ მო-სალოდნელი მკვლელობის შესახებ მან დამიბარა ქუთაისიდან ოზურგეთს და გადმომცა ლომიძის სიტყვები. თუმცა ბევრს ვეცადე მაგრამ ლომიძემ გამოტე-ხილათ არაფერი მითხრა; მე მტერი არა-ვინ მყავს, მხოლოდ მაისში თ-დ უჩას წავეკიდე, მარა მეორე დღესვე შევრიგ-დითო, უთქვამს ალექსანდრეს ლომი-ძისთვის. „არა, ეს დადიანი არ არის, მაგრამ იქიდან კი"!... მიუგია ლომიძეს. „სად იქიდან"?... ამის შესახებ ლომიძეს ხმა გაუკმედია.

**ბრალმდ:** მკვლელობას შემდეგ თქვენ ნახეთ დადიანი?

**მოწმე:** ვნახე ეტლით მიმავალი ალში-ბაიასთან ერთად. მკითხა:

„რა მოხდაო?" მე მივუგე: „ის, რა-საც თქვენ ნატრობდით!"

**ბრალმდ.:** თქვენ რა იცით თავადის მოწამვლის განზრახვაზე?

# გაზეთი „იმერეთის" კანცელარია უმორჩილესად სთხოვს ხელისმომწერთ გაზეთის ხვედრი ფული 1 ოქტომბრამდე გამოგზავნონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობათ.

**მოწმე:** მოკლულის ქალიშვილი ნინო ამბობდა, რომ ერთხელ ალექსანდრეს მღვრიე და ქაფიანი ჩაი მოართვეს, რო-მელიც უსათუოდ მოწამლული იყოვო. მეც გამოვუტყდი თავადსა და ვუთხარი, რომ ხმები დადის, ვითომ შენი მოწამვლა სურდეთ. მან მითხრა: „სისულელეა, ყალ-ბი ხმებია—დავრწმუნდიო".

თ-დი ოთარი: ბ-ნნო მსაჯულნო, თარგ-მანი თავიდან ბოლომდი მცდარია.

მოიწვევენ მეორე თარჯიმანს. აიხსნე-ბა, რომ მოწმემ დაარწმუნა ალექსანდრე მოწამვლის განზრახვაში და ურჩია ძა-ლიან ფრთხილად ყოფილიყო სასმელ-საჭმლის მიღების დროს.

თ-დი უჩა: რა იცით თქვენ ყალბი ფულების და ოთარ დადიშკელიანის შე-სახებ.

მოწმე: არაფერი; ამაზე ლაპარაკიც არ გამიგონია.

თ დი უჩა: იცით თქვენ, რომ თავადი დადიშკელიანები სვანეთში მკვდრებს სთხრიდენ საფლავებიდან და ძვირფასეუ-ლობას ხდიდენ?

მოწმე: არა, არ ვიცი.

შვადღის 1 საათზე და 40 წუთზე სხდომა წყდება. ზალაში ხმაურობა ის-მის. ჯგუფ-ჯგუფათ შეგროვილნი მსჯე-ლობენ. ბევრი ცუდის თვალით უყუ-რებს თ-დ უჩას მოწმისადმი შეკითხვას. აგერ-აგერ ისმის ხუმრობა:

— შენ მე ხატებით, მე შენ საფლა-ვებით!

სხდომა განახლდა.

მოწმე ჯანსოყ დადიშკელიანი, ძმა მოკლულისა.

ბრალმდ.: თქვენს ძმას ცოლი უყვარდა?

მოწმე: ძალიან.

ბრალმდ.: კნ. ბაბილინას?

მოწმე: უმორჩილესათ ვსთხოვ პალა-ტას, ამ კითხვაზე პასუხს ნუ მომთხოვს. ეს მე ძლიერ მეძნელება.

თავჯდომარე: დაბძანდით.

მოწმე: გთხოვთ გარეთ გამიშვათ, არ შემიძლია აქ დარჩენა.

მოწმეს ფერი წასვლია და ხელები უკან-კალობს. მას დარბაზიდან გასვლის ნებას აძლევენ.

ოზურგეთის მაზრის უფროსი ზაკუსო-ვი ამბობს, რომ მასთან მივიდა ალექსან-დრე დადიშკელიანი და უსახელო წერი-ლის შინაარსი გადასცა. მან შემწეობა აღუთქვა და მასთან ურჩია ფრთხილათ ყოფილიყო. ამაზე თავადმა მიუგო: „თქვენ ვერ დამიფარავთ, რადგან ჩემი სიკვდილი თ-დს დადიანს სურს"! ცოტა ხანს შემდეგ დავაპატიმრეთ ალშიბაია და ბაკურია.

ვქ. ესენი: რა კავშირი ქონდა თ-დ ალექსანდრეს განცხადებას იმ ორი პირის დაპატიმრებასთან.

მოწმე: კავშირის ახსნა მე არ შემიძ-ლია. მხოლოდ ხმა დადიოდა რომ თა-ვადს ორი მოკლავსო და ბოქაულს ეს ორი პირი არა საიმედო პიროვნებათ მოეჩვენა. ალშიბაია გავათავისუფლეთ, ხოლო ბაკურიას იარაღი ჩამოვართვით და ციხეში გავგზავნეთ.

თ-დი უჩა: ბაკურიასგან ჩამორთმეული რევოლვერი გამომძიებელმა თქვენ მო-გთხოვათ მკვლელობამდი, თუ შემდეგ?

მოწმე: მანამდი.

თ-დი ოთარი. არ შემიძლია, არ გა-ვაცხადო: თუმცა იურისტი არა ვარ, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ სიმართლის აღსადგენათ საჭირო მოწმეების ჩვენებას თავისუფლება მიეცეს. აქ არავითარ ფიზიკურსა და მორალურ გავლენას ად-გილი არ უნდა ქონდეს: დღეს მოწმემ იუსუფმა მიიღო მ...ქარის წერილი. თუმ-ცა ეს მოწმე მე დავამშვიდე, მაგრამ მომავალის შესახებ არაფერის თქმა არ შემიძლია. ამასთანავე არ შემიძლია არ მოვახსენო პალატას, რომ იმ მორალუ-რი შემკობისთვის, რომელიც ყალბი ფულების სახით მომიძღვნა თ-დ დადი-ანმა, არავითარი უფლება არ ქონდა დამცველთა შტატს მხარი დაეჭირა, ვი-ნაიდან ეს უკანონობაა!

თავჯდომარე: მე არ გაძლევთ თქვენ უფლებას ასე ილაპარაკოთ დამცველე-ბის შესახებ.

თ-დი ოთარი. მე მაქვს ამის უფლება და აჰა თქვენ ამის საბუთი (გადასცემს მათ რაღაც ქაღალდს).

სხდომა შესწყდება ამ ახალი საბუთის განსახილველათ. ცოტა ხანს შემდეგ პალატა განაგრძობს საქმის გარჩევას. ორივე მხარეებს გადაეცემა თ-დი ოთა-რის მიერ წარდგენილი ქაღალდი.

ბრალმდ: პალატას არავითარი უფლე-ბა არ აქვს განიხილოს სამოქალაქო მო-მჩივანის მიერ ერთ-ერთ დამცველთან მოწერილი კერძო წერილი. საჭიროთ ვთვლი—ეს წერილი მომჩივანს დაუბრუ-ნდეს.

ვექილი კლანკი: რადგანაც სამოქალა-ქო მომჩივანის მიერ წარდგენილი საბუ-თი მე მეხება, უმორჩილესად ვსთხოვ პალატას ეს წერილი გამოუაშკარებლათ მიაკეროს საქმეს და ამით მოგცეთ საშვა-ლება დავამტკიცო, რო მუქარითა და ძალით მე მაშინებდა მომჩივანი და არა მე მას.

კლანკის შუამდგომლობას პალატა იღებს და ქაღალდს საქმეში მიაკერებენ.

შვადღის 4 საათზე სხდომა შესწყდა საღამოს $6^1/_2$ ნახევრამდის.

(შემდეგი იქნება)

## ხონის ამ-ბარბი.

უპატრონო ეკლესიას, ტურა-მგელი დაესიაო, რომაა ნათქვამი, ეს პირდაპირ ხონზე ითქმის. ასეთ გარემოებაშია დღეს ხონის, როგორც ბაზარი, ისე სოფელი. ყველა ქალაქსა თუ დაბაში (ავიღოთ თუ-გინდ მეზობელი ქუთაისი) ხოლერის ში-შით ადგილობრივი მთავრობა დიდი აწ-რიალებულია: აარსებენ, თუ არაა, ან აძლიერებენ სანიტარულ კომისიებს და მათს მოქმედებას; ამცირებენ ან ადიდებენ ნიხრს ამა თუ იმ სანოვაგეზე და სხვა. მაგალი-თად, გაზეთებმა გვამცნეს, რომ ქუთაისში მესამე ხარისხის პური ოყა 2 შაურათ იყიდება და კარგი ხორცი ოყა 36 კაპ., ხონში კი ამავე ხარისხის ნახევრად ცომი პური ოყა 12 კაპ. იყიდება, და ხორცი—ოყა 2 აბაზათ. მერე ისიც შიმშილობის მოლოდინში. პურის, ან სხვა რაიმე სა-ნოვაგის უვარგისობას აქ კაცი ყურადღე-ბას არ აქცევს—ან ვის სცალია ამისა-თვის!? ბაზრის საქმეში ადგილობრივი მთავრობისა და ნამდვილ მონა დეპუტატ-თა ამგვარი დაუდევრობა არა ერთჯერ აღნიშნულა/გაზეთების ფურცლებზე, მარა, ჭირისაგან წმინდათ იყავით, არვინ თავს არ იტკივებს. ამას გარდა ყოველი საკლა-ვი, რასაც მცხოვრები საჭიროებს, ბაზარ-ში, დუქნებშივე იკვლება, თუმცა ამის-თვის სოფლის გარეთ სპეციალური შე-ნობაა აგებული, რომელიც რამდენიმე ათასი მანეთი დაჯდა და ახლა არავითარ ხმარებაში არაა. საქონლის შიგნეულო-ბის სიბინძურე, ნარეცხი—ყოველივე იქ-ვე წყალში იყრება, რომელიც ბაზარს ჩამოუდის და საშინელ სუნს აყენებს... ერთი სიტყვით, ამისთანა უპატრონო და-ბა, როგორც დღეს ხონია, მგონია, დე-დამიწის ზურგზე სხვა არ მოიპოება...

ახლა სოფლის სამართველოში შევი-ჭვრიტოთ, თვარა შეხედვა და შიგ შესვ-ლა მაინც ღმერთმა დაგიფაროსთ, რა აბ-ბავი ხდება საწყალ უმისოდაც გა-ძვალტყავებული გლეხკაცობის ზურგზე! იშვიათად ყოფილა ხონში ისეთი მბო-ჭავი რაიმე გადასახადისა, ან მამასახლი-სი, რომელსაც ასობითა და ათასობით სა-ზოგადოების ფული არ გაეფლანგოს. ზოგიერთ პირზე დღესაც აუღებელია ეს ფული. ხშირათ მოხდა, რომ ასეთი და-კარგული ფულის დევნაში, საზოგადოე-ბას ერთი იმდენზე მეტი დახარჯვია; ეს იმის გამო, რომ ვისაც საზოგადოება აღ-ჭურავს თავისი ნდობითა და მიანდობს ასეთი საქმის გასწორებას, ყველა თავისი ჯიბისკენ გასწევს. ამ მოკლე ხანში ასე-თი მაგალითი მოხდა: ამა წლის ზაფხულ-ში საზოგადოებამ ნება მისცა ცნობილ მოანგარიშეს, ოქ. მამფორიას, ისეთი დაკარგული ფულები, რომელიც მბოჭავს, ან ნამამასახლისარს გაუფლანგავს, საჩივ-რით როგორმე ამოიგოს და ამოგებულ მანეთში ორი შაური გასამრჯელოდ აი-ლოს; განაჩენიც ასეთი უნდა დადგენი-ლიყო. მაგრამ ვიღაცის ბძანებით განაჩე-ნი ისე დაუწერიათ, თითქოს საზოგადოე-ბას უნდა დაედგინოს, რომ მომფორია-სთან ერთად სხვა „ჩლენებმაც" ამოიგონ ყველა დარჩენილი, გადაუხდელი ფული სოფლად და აგრეთვე გაფლანგული, და ამოგებულ თითო მანეთზე აბაზი მათთვის მიეცესთ გასამრჯელოთ. როგორც ირკვევა, განაჩენი ყალბია. ეს პროცენტები ბოლოს ხალხს გაეწერება, როგორც „ნედოიმკა" და გადახდება; ამისთანა გაჭირვებულ დროს საწყალი ხალხი უნდათ კიდევ მე-ტათ გაატყავონ. -ელ-

და კაცი ხმას არ იღებს! აღა, შეუძ-ვი განათლებულნი და შეძლებულნი მეტი გულგრილათ ზრდის საქმე. მესამე წო-ვე ...ების პოლიტიკური თავისუფლება

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის ძმა—ბის
ქუთაისში.

აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო
საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთი
რომელიც პირდაპირ მწარმოებელისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით.
სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთზე გასულ წელთან შედარებით
ფასები დასწია.

ახლად მიღებულია ჩანთები (რანცები)
მოწაფეებისთვის და ძლიერ დაკლებულ ფასებში ჩვენ მივაქ...
მოწაფეების ყურადღებას ახლად გამოცემულ მოწაფეებისთვ...
„დღიური“ „Дневникъ“
რომელიც სრულიად დააკმაყოფილებს მოწაფეებს მოთხოვ...
ლებასა და შედარებით იაფ ფასათ იყიდება.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზ...
მო-ეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი სახ-ჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ...ტაკზე საფენი „ლინელოუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი სახ-ჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის ...ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.


გარიშეები მთელი წლის ანგარიშების განსახილველად, თვარა ისეა საქმე აზურდგნული, რომ ძაღლი პატრონს ვერა სცნობს. **მზვერავი.**

## ოზურგეთის ჩაის ფაბრიკა.

მიწისმოქმედების სამინისტრო ქ. ოზურგეთში მართავს ჩაის ფაბრიკას, რომ ოზურგეთის მაზრის მცხოვრებლებმა გასაღოს თავისი ჩაი ფურცლათ.

ფაბრიკის შენება უკვე დაიწყო აგვისტოს თვიდან ამა 1913 წლისა და მომავალი 1914 წლის გაზაფხულიდან ფაბრიკა დაიწყებს მოქმედებას და იყიდის ჩაის მეპატრონეთაგან მწვანე ნედლ ფურცელს, გირვანქას 13 კაპიკათ.

ჩაი დიდ შემოსავალს იძლევა, ამიტომ მისი გაშენების საქმე ძლიერ სწრაფათ გავრცელდა. მაგალითად, ხუთი წლიწადის წინ ...მის აქეთ, რაც ბათომისა ოლქში ჩაის პლანტაციებს ეჭირა სივრცე არა უმეტეს 1200 ქცევისა, ახლა კი იქ ითვლება 2400 ქცევამდი.

ერთი ქცევა გაშენებული ჩაის ბუჩქი, თუ იგი კარგა მოვლილია, იძლევა საშუალო რიცხვით 1000 გირვანქა მწვანე ნედლ ფურცელს. გირვანქა იყიდება 13 კაპიკათ და ჩაის მეპატრონე ამისდა კვალობით მიიღებს 130 მანეთს. ჩაის გაშენება შეიძლება ყველა იმ ადგილზე, სადაც სიმინდი მოსავალს სულ არ იძლევა, სახელდობ წითელ მიწაზე „ეწერზე“.

დარგევით ჩაი, შეუდექით ახლავე მიწის დამზადებას ჩაის კაკლის დასათესათ პირდაპირ სამუდამო ადგილზე და რაც ადრე შეუდგებით მიწის გადაბრუნებას (7—8 გოჯის სიღრმეზე) ჩაის გასაშენებლათ, ის აჯობებს.

იქონიეთ სახეში, რომ მთავრობამ გადასდვა თანხა ფაბრიკის ასაშენებლათ და მოსაწყობათ იმ მიზნით, რომ მცხოვრებლები დაიწყებენ ჩაის ბუჩქის გაშენებას და ამით შეიძენენ ერთს ახალ შემოსავლის წყაროს.

ვისაც სურს ჩაის ბუჩქის გაშენება, ყოველი ცნობებისა და რჩევის მისაღებათ უნდა მიმართონ ქალაქ ოზურგეთში აგრონომს ერმილე ნაკაშიძეს და ან ჩაის პლანტაციაზე, ზვანში, ჩაის ინსტრუქტორს ალექსანდრე სამარინს, რომელიც იქნება ჩაის ფაბრიკის გამგეთაც.

გარდა ამისა, ვისაც სურს ჩაის პლანტაციის გაშენება, უნდა აცნობოს რამდენ მიწას ამზადებს ჩაისთვის, რომ წინდაწინ ვიცოდეთ, რამდენი ჩაის კაკალი იქნება საჭირო დასათესათ, ვინაიდან განზრახულია რამდენიმე კაკალი უფასოთაც დაურიგდეს მცხოვრებლებს. ჩაწერა შეიძლება იმავე პირებთან: აგრონომ ერმილე ნაკაშიძესთან, ან ინსტრუკტორ სამარინთან, 25 წიფობისთვემდი, ამა 1913 წლისა, ყოველ დროს.

## მუნიციპალური კრება
### კიევში.

17 სექტემბერს კრება დაიწყო ორი მოხსენების განხილვით, რომელიც შეეხებოდა ქალაქების განთავისუფლებას სამხედრო პირთათვის ბინის დასაქირავებელი და პოლიციის შესანახი ხარჯებისაგან. პირველი მოხსენება წამოაყენა კიევის ხმოსანმა იოხეფმა და აღნიშნა, რომ ამ ხარჯებით ქალაქს აწვება ისეთი სახელმწიფო ბეგარა, რომელიც არ შეეხება და შეეფერება ქალაქის საჭიროებას.

ეს გადასახადი მძიმე უღლათ აწევს ქალაქს, შემაწუხებელია, როგორც ფინანსიური მხრით, ისე მორალურათაც. ...თავად, მოსკოვი ყოველ წელს იხ... ამ გაცხარ... მილიონ მანეთს, კიევი— ...იგი. ერთიანათ ს175,000. და ეს ზედ... რებას მისცემია. მასზე ზედგ... სიტყვები: „ხორცი სულისთვის გაუ...

მეტი გადასახადი თითქმის ამ ქალაქების ნახევარ შემოსავალს ნთქავს და ხელს უშლის მით წარმატებას. მორალური მხრით ეს გადასახადი იწვევს ორივეს წარმომადგენელთა შორის დამოკიდებულობის გამწვავებას. ყოველივე ის, რასაც ქალაქები იხდის, რომ გამოიკვლიოს მთავრობამ, დარწმუნდება, თუ როგორ ვალიანდება და ამცირებს თავის ბიუჯეტს ამ ხარჯების გამო ქალაქები.

მეორე მომხსენებელი სარატოვის დელეგატი ალმაზოვი აღნიშნავს, რომ ორივე გადასახადით ქალაქების დაბეგვრა ორნაირ გადასახადს წარმოადგენს. მცხოვრებლები იხდიან საზოგადო სახელმწიფო გადასახადებს და კიდევ ხელმეორეთ უხდებათ ამავე ხარჯების გადახდა.

საკვირველია, რომ თვით ხაზინას, რომელიც თავის ბიუჯეტში ხაზგასმით აღნიშნავს შემოსავლის მომეტებას, ასეთი ხარჯების ქალაქებზე გადატანით ისინი გაკოტრებამდი მიყავს. ქალაქები, იძულებულია იშოვოს ფული დიდი პროცენტებით. ამას გარდა იხდიან ჯარიმებს ყოველ გადაცილებულ დღისას და ყველა ეს იზდება იმდენათ, რომ ქალაქი ვალს თავს ველარ დააწევს. ასეთ ბეგარას არავითარი გასამართლებელი საბუთი არა აქვს და ამისგან განთავისუფლება ქალაქების ფინანსიური პოლიტიკის სწორ და სამართლიან აქტათ ჩაითვლება.

ორივე მოხსენება იწვევს მხურვალე კამათს, რადგან მთელი მუნიციპალური კრების არსებით საკითხს შეეხება. ორატორები ასურათებენ ქალაქის დღევანდელ უნუგეშო მდგომარეობას.

ჟიტომირის დელეგატი დომანევსკი აღნიშნავს, რომ სამხედრო ბინის ბეგარა განსაკუთრებით შემაწუხებელია დასავლეთის გუბერნიებისთვის. მართალია, მთავრობა 1876 წლის კანონით უბრუნებს გადახდილ ხარჯს, მაგრამ არა იმდენს, რამდენსაც ქალაქი ეწევა. მაგ. გადაწყვეტილია საჟენ შეშაში მიეცეს 4 მ. 10 შ. ქალაქს კი ეხარჯება 25 მანეთი. ასევეა სხვა საგნებშიც. ამ კანონის ძალითვე ჩვენ უნდა მივსცეთ ისეთი ძლიერი განათება, რომელიც არც გასაყიდია და არც წარმოებაში. ამის გამო ჩნდება სხვადასხვა ძალდატანება და ქალაქი იძულებულია იხადოს იმდენი, რამდენსაც საჭიროება თხოულობს. კრება მომხრეა რომ ხაზინამ მისცეს ქალაქებს ხარჯი (дотацiя), მე კი ვამბობ. თვით ხაზინამ უარყოს ის ხარჯები, რომელსაც ჩვენ მას ვაძლევთ. (ტაში).

ხარკოვის დელეგატები ვაგნერი, სხვათა შორის, ამბობს იმ ჯარიმაზე, რომელსაც ხაზინა ახდევიებს ქალაქს გადაცილებულ დღეებში. ჩვენმა ქალაქმა, სთქვა მან, ძლივს რვა წელს შემდეგ დაიბრუნა დახარჯული ფული, მაგრამ ხაზინამ ერთი კაპიკი ჯარიმაც არ გადაიხადა.

ირკუტსკის დელეგატმა ტურიცინმა სთქვა: 1903 წლამდი ჩვენ ქალაქს მილიონები ქონდა და, როცა გამოგვიგზავნეს კორპუსი, დაიწყო დეფიციტი. ქალაქი იძულებული გახდა ვალი აეღო მამულის დაგირავებით და, უეჭველია, გაკოტრება მოგველის.

ბახმუტის დელეგატმა პერშინმა აღძრა საკითხი ქალაქის განთავისუფლებისა იმ ხარჯებისაგან, რომელიც გამოწვეულია ჯარის მობილიზაციის მხრით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დუკელსკიმ განაცხადა, რომ სამხედრო უწყება არკვევს და იმუშავებს რეფორმებს, რომელიც შეეხება სამხედრო ხარჯებს. ეს კანონპროექტი სექტემბერ-ოკტომბერში წარდგენილ იქნება მინისტრთა საბჭოში. განზრახულია გათავისუფლდეს ქალაქები ზოგიერთი ხარჯისაგან, როგორც მაგ. განათება, განთფობა და სამხედრო პირთათვის ბინის დაქირავება ქალაქების ხარჯით.

რასაკვირველია, სრული განთავისუფლება შეუძლებელია, ეს უნდა თანდათანობით მოხდეს,—დასძინა მან. ვორონეჟის დეპუტატის პეტროვსკის აზრით—აქ დაიბადა ორი მიმდინარეობა; ერთი მომხრეა ქალაქების სრული განთავისუფლებისა და მეორე—თანდათანობის. ჩემის აზრით, სთქვა მან, კრებამ უნდა მიიღოს პირველი გადაწყვეტილება. ის მტკიცეთ უნდა იდგეს პრინციპზე და არავითარ კომპრომისს ადგილი არ უნდა ქონდეს. კომპრომისები მარტო საკანონმდებლო დაწესებულებაში შეიძლება, სადაც შეიძლება ვაჭრობა უწყებათა წარმომადგენლებთან.

ივანენკო (ქ. მაიკოპიდან) ამბობს, რომ ქალაქი მაიკოპი კაზაკთა ქალაქია და ამიტომ ყაზარმების აშენება საჭირო არაა, მაგრამ, როცა რატნიკები მოვლენ ხოლმე, ქალაქს უხდება საშკოლე შენობები დაუთმოს და სწავლა შეაჩეროს. ჩვენი პატარა ქალაქისთვის სამხედრო ბინის ბეგარა დიდი შემაწუხებელია. უფრო ცუდათაა საქმე პოლიციის შესანახი ხარჯების მხრით.

ორატორმა ამასთანავე წარუდგინა კრებას ნოტარიუსისგან შემოწმებული პირი იმ პირობისა, რომელიც გენერალ-გუბერნატორს ბაბიჩს შეუკრავს ქალაქთან, რათა ქალაქმა გაიღოს ზედმეტი ხარჯი პოლიციის შტატის გასაძლიერებლათ. პირობის ძალით შეუპოვარი გადამხდელი ჩაჯდება ციხეში სამ თვემდი და იხდის ჯარიმას 3000 მანეთს. პირობის გამოაშკარავება სენსაციას იწვევს.

ხედავთ—ამბობს ივანენკო, რა შედეგი მოაქვს ასეთ დაბეგვრას პოლიციის ხარჯებით. კრების თავჯდომარე დიაკოვი:—გთხოვთ პოლიციაზე ნუ ლაპარაკობთ. თქვენ გვამცნეთ საინტერესო ცნობა თვითნებობისა, თქვენს წარმოდგენილ საბუთს საქმეში ჩავაკერებთ.

ივანენკო აგძელებს: დიახ, თუ არ გადაიხადე, ციხეში ჩაჯდები (ტაში). ორივე გადასახადი ართმევს ქალაქს ყველა საშვალებას; ჩვენ ვერაფერს ვხარჯავთ ამის გამო სწავლა-განათლებაზე და ქალაქის კარგათ მოწყობაზე. მხოლოდ ამ წელს შევსძელით სმეტაში შეგვეტანა 9000 მანეთი ქალაქში ტბის ამოსაშრობათ. თქვენ მკითხავთ, როგორ მოახერხეთ გადაგედვათ, ისიც ერთად, ამდენი ფული?—გეტყვით, რომ ამ საქმეში ხელი შეგვიწყო ერთმა „სასიამოვნო შემთხვევამ“ (სიჩუმე) ჩვენს ქალაქში ამ ტბაში დაიხჩო ბერი. (ტაში, სიცილი. იცინიან წარმომადგენლები და პრეზიდიუმი).—ბერი—ეს უწყების წარმომადგენელი პირია და, რომ თავიდან აგვეშორებია უსიამოვნება, ვისესხეთ ფული ტბის ამოსაშრობათ და, სხვა ჩვენი სწავლა-განათლება, კულტურული საქმეები, განათება და ქალაქის გაფართოება-მოწყობა კი ძველებურათ დარჩა დაუკმაყოფილებელი. (ხმაურობა და ტაში). დანარჩენი ორატორები იმასვე იმეორებენ და ამტკიცებენ, რომ პოლიციისა და სამხედრო ხარჯები, რომელსაც ქალაქები ეწევა, ქალაქის შემოსავლის ნახევარზე მეტია.

კამათს შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლუცია, სადაც აღნიშნა, რომ ქალაქებისა და მთავრობის ინტერესების თვალსაზრისით და თვით ჯარისა და პოლიციის ინტერესების მხრითაც, საჭიროა განთავისუფლდეს ქალაქის თვითმართველობანი ყველა ასეთი ხარჯის გაღებისგან.

## რუსეთი.

**ბეილისის საქმე.** იუსტიციის სამინისტრომ პროკურატურას მიანდო დაწვრილებითი მოხსენებები წარადგინოს ხოლმე სამინისტროში ბეილისის საქმეზე. მოხსენების შედგენა მიენდობა, როგორც ცნობაა, სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგს ალექსანდროვიჩს. საპოლიციო დეპარტამენტმა კიევის ადმინისტრაციას წინადადება მისცა,—ბეილისის პროცესის დროს „საპაგრომო“ (დარბევის) ლიტერატურის გაყიდვა აკრძალონ. „ვეჩერნაია გაზეტა“ გადმოგვცემს,—ბეილისის საქმეზე წინასწარ ითათბირეს ოლქის სასამართლოს თავჯდომარემ ბოლდირევმა და უმაღლესმა პირებმა. ამ თათბირზე, სხვათა შორის, დაესწრო სამინისტროს წარმომადგენელი მოხელე. თათბირის შედეგი ჯერ დაფარულია.

**მოსწავლეთა შორის თვითმკვლელობის შესახებ.** ადესის სასწავლო ოლქის მზრუნველი მემკვიდრეობას, ოჯახისა და შკოლის ცუდ პირობებს სთვლის მოსწავლეთა შორის თვითმკვლელობის მიზეზათ ცირკულიარით აცნობებს შკოლის უფროსებს დამატებითი ცნობები მიაწოდონ შემდეგ კითხვებზე: სულიერი ავათმყოფობანი იმ ოჯახის წევრთა, საიდანაც თვითმკვლელია, მისი განწყობილება ოჯახში და დედ-მამასთან, რა და რა ავათმყოფ... გაიარა, პსიქიური თვისებები, გონებ... განვითარება, დამოკიდებულება ამხ... გებთანა და შკოლის წეს-რიგთან და... შინაარსის წიგნებს კითხულობდა.

## დეკანოზის ევგენი შენგელა... საგულისხმოთ.

ჩვენ ვრცელი წერილი მოგვივიდა ბ... ლოჩინის მამა ევგენი შენგელაიას მ... ხელმოწერილი, ზუგდიდელი დეპუტაც... თაობაზე, ბ-ნი ბუკიას წერილის საპას... ხოთ. მამა შენგელაია პასუხს იძლევა... წერილზე მიწერილს რედაქციის შენიშ... ზეც, სადაც მოხსენებული იყო რომ ... დაქციაში იყო ერთი ღვდელი და გა... ცხადა, რომ ის შენგელაიაა, დეპუტაც... ის წევრი და გერმანიას კი არა პეტ... ბურგს მიდის და სხვ. ჩვენ ვერ დავს... ბავთ მამა შენგელაიას პასუხს იმ მიზეზ... რომ ხელმეორეთ შეცთომა არ ჩავიდინო... პატივცემული ბლაღოჩინი სწერს, სხვა... შორის, რომ რედაქციაში აროდეს ... ყოფილვარო. ახლაც შესაძლოა, ვინ... სხვა აწერდეს მამა შენგელაიას სახელ... და ხარისხს ამ საპასუხო წერილზე. სა... როა, კვლავ ვიხილოთ მამა ბლაღოჩი... დეკანოზი ევგენი შენგელაია, და მაშ... გამოირკვევა ყოველივე.

„იმერეთის“ რედაქცია.

რედაკ.-გამომცემელი გრ. ერ. ჭელიძ...


ახალი უცნებელი საშვალება
რძე პირსახისათვის „ბ ე ტ ტ ი“
ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.
არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს; გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ურჩევ აგრეთვე მამაკაცებს ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თბილისში ლიბიხის აფთიაქი ს. ს. ნადარეიშვილი. ფასი ერთი მანეთი. განყოფილება ქ. ქუთაისში აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სალავათი. განყოფილება ქ. ქუთაისში პ. ა. შავერზოვის აფთიაქის მაღაზიაში.

ხრესილი.
სამკურნალო აბანო
მეირფასი მთის აერზე
ძმ. ყორყოლაძეების
გთხოვთ ეწვიოთ იხილოთ და დარწმუნდებით.
შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

პ. გორდაძისა და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქ... უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინ... ბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის უეთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო ქარხნებისგან მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილება, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.